მარტვილი

მარტვილი გამოდის 1995 წლის მარტიდან №5, 28 მაისი, 2025 წელი

26 მაისს მთელი ქვეყნის მასშტაბით საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას არჩევისა და ქართველთა ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას დაბადების დღე!

***

ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

ზვიად გამსახურდია

***

წილხვედრ მამულს თუ ვუმზერდე ავად,
მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
შემდეგ ეს მიწა და საქართველო.

მერაბ კოსტავა

26 მაისს მარტვილში სხვადასხვა საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართა

დამოუკიდებლობის დღე, მარტვილის მუნიციპალიტეტში, მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებებით აღინიშნა.

დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობები ქალაქის ცენტრში, სპორტულ მოედნებზე და ქუჩებში. მოეწყო ადგილობრივი გასტრონომიული ნაწარმის და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე გაიმართა მოზარდ სპორტსმენთა ფესტივალი, რომელშიც მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

ქალაქის ცენტში, მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით საზეიმო კონცერტი გაიმართა.

დღის განმავლობაში გამართული ღონისძიებები, ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით, საზეიმო კონცერტით დასრულდა.

შეხვედრა სალხინოს მოსახლეობასთან

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი თორნიკე ჯანაშია, მოადგილე გივი ელიავასა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა დარჯანიასთან ერთად სალხინოს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდა.

ადგილობრივებმა მერთან არსებული პრობლემები და საჭიროებები დააფიქსირეს, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შეეხებოდა.

მერმა ადგილობრივებს განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროგრამებზე ინფორმაცია მიაწოდა. თორნიკე ჯანაშიას განმარტებით, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად კოორდინაციით, სოფელში არსებული საჭიროებები ეტაპობრივად მოგვარდება.

მერი მსგავსი სახის შეხვედრებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მართავს, რათა მოსახლეობის საჭიროებებს გაეცნოს.

გამოფენა მარტვილის მუზეუმში

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ცნობილი ქართველი მხატვრებისა და ადგილობრივი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, რეზო სტურუას, მარინა დანელიას, სევერიან მაისაშვილის და ვანო ჯაფარიძის ნამუშევრები.

გამოფენა 26 მაისს, 20:00 საათზე დაიხურება.

არ გამოტოვოთ შესაძლებლობა, დაათვალიეროთ ქართული სახვითი ხელოვნების გამორჩეული ნამუშევრები და კიდევ ერთხელ აღმოაჩინოთ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა!

ჯანსაღი ცხოვრების წესი მიზანდასახულობის ერთ-ერთი პრიორიტეტია

ცხოვრების ჯანსაღი წესის არჩევა მიზანდასახულობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. რაოდენ დიდი სიხარულია,როცა სკოლის აღსაზრდელი სანიმუშო და მოტივირებულია. დასახული იდეების შესაბამის შედეგს აღწევს.

სკოლა, რომლის კედლებშიც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი-რომან რურუა აღიზარდა, დღესაც ამაყობს, რომ მერვე კლასელი **ლანა დავითის ასული სართანია** 54-58 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონის ტიტულს ისაკუთრებს ,,კუდო"-ში. ეს გამარჯვების კვარცხლბეკზე წარმატების ათვლის ნათელი წერტილია

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის მუხურჩის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, პედ-კოლექტივი და მარტვილის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ულოცავს ლანას ამ გამარჯვებას და უსურვებს უმაღლესი საფეხურების დაპყრობას.

მოსწავლეებს სკოლის დამთავრება მიულოცეს

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიისა და მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკოლის ბოლო ზარისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი თორნიკე ჯანაშია, ქყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე სტეფანე და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა, სკოლის კურსდამთავრებულებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად დაესწრნენ. მათ მოსწავლეებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და ცხოვრების ახალ ეტაპზე წარმატებები უსურვეს, მეუფე სტეფანემ კი კურსდამთავრებულები დალოცა.

სკოლის კურსდამთავრებულებისათვის გამართულ ღონისძიებაზე ახალგაზრდებისთვის იმღერა მუსიკალურმა ბენდმა ,,მარტვილი", რის შემდეგაც სცენა DJ SHADOW- ს დაეთმო.

ნაჯახაოს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

მარტვილის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურ რეჟიმში გრძელდება - მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა თორნიკე ჯანაშიამ მოადგილე გივი ელიავასთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა დარჯანიასთან ერთად დაათვალიერა.

ნაჯახაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, 2 759 მეტრზე ასფალტის საფარი იგება. როგორც მერმა აღნიშნა, პროექტი ხელს შეუწყობს მოსახლეობის კომფორტულად გადაადგილებას.

სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 1 566 937 ლარს შეადგენს.

ბრძოლა აზიურ ფაროსანასთან

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე, რომელსაც მერის მოადგილე გივი ელიავა და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრის წარმომადგენლებმა დაგეგმილი ღონისძიებების და სამოქმედო გეგმის შესახებ ისაუბრეს.

მარტვილის მუნიციპალიტეტში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს "მოიზიდე და გაანადგურეს" სადგურების განთავსება. მონიტორინგიდან მიღებული შედეგების საფუძველზე ჩატარდება ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიების დამუშავება თერმული ნისლისა და ცივი შესხურების მეთოდით.

შეხვედრა წვევამდელთა საკითხებზე

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ ცვლილებებზე, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე, რომელსაც მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ალექსანდრე ხურცილავა და გივი ელიავა, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადებისა და პირობების შესახებ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა კახაბერ ინალიშვილმა, მისმა მოადგილემ, ცენტრის სერჟანტმა და მუნიციპალური განყოფილების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს.

კანონმდებლობის თანახმად, 2025 წლიდან წვევამდელთა შერჩევა ყოველწლიური შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხორციელდება, ხოლო სამხედრო სამსახურის გავლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში.

წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის პირობებია:

საბრძოლო ქვედანაყოფი – 6 თვე, ანაზღაურება 765 ლარი;

საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფი – 8 თვე, ანაზღაურება 635 ლარი;

უმცროსი სამეთაურო თანამდებობა და წინასწარ განსაზღვრული სპეციალობით სამსახური – 11 თვე, ანაზღაურება სერჟანტებისთვის - 1275 ლარი, ოფიცრებისთვის - 1530 ლარი.

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში საკუთარი სურვილით წასულ პირებს 30%-ით მეტი ოდენობის ანაზღაურება დაენიშნებათ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

„თითოეულ ბავშვს ხარისხიანი ადრეული განათლება!"

საბავშვო ბაღი არის ინსტიტუცია, რომელიც ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესში ასრულებს მეტად მნიშვნელოვან როლს. ის ორიენტირებულია ბავშვის, როგორც ინდივიდის, დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, რასაც ხელს უწყობს მისი საგანმანათლებლო პროცესში აქტიურად ჩართვა.

თითოეულ ბავშვს ხარისხიანი ადრეული განათლება!-ეს არის ადრეული ან/ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მთავარი მიზანი. სწორედ, ამ მიზნით მიმდინარე წელს დაიწყო სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის N-76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით'' გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.

განათლების მინისტრის 2024 წლის 19 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცდა „ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სახით მოქმედი იურიდიული პირების ავტორიზაციის გავლის განრიგი და კერძო სამართლის იურიუდიული პირის ფორმით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის/სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განრიგი". აღნიშნული ბრძანების შესაბამისად 2025 წელს საავტორიზაციო საბავშვო ბაღებს შორის პირველ ეტაპზე შეირჩა ა.(ა.)ი.პ.-„მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ში შემავალი სამი (დიდი ჭყონის N-1, ბანძისა და ხუნწის) საბავშვო ბაღი.

2023 წლის 21 თებერვლის საქართველოს მთავრობის N-76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს შესაბამისად დადგინდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის ოთხი სტანდარტი. აღსანიშნავია, რომ პირველი სტანდარტის შესაბამისად ფასდება დაწესებულების ინსტიტუციური განვითარება, რომლის მახასიათებლებიც გახლავთ: მისია, ხედვა, ღირებულება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის განვითარების პროცესში დაწესებულებამ უზრუნველყოს როგორც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ასევე, შემუშავებული განაცხადების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ა.(ა)იპ-„მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულება. განისაზღვრა დაინტერესებულ პირთა წრე, რომელსაც შენიშვნებისა და წინადადების მიღების მიზნით პრეზენტაციის სახით წარედგინა შემუშავებული დოკუმენტაცია. პრეზენტაციას თან ახლდა საინტერესო დისკუსია დაინტერესებულ პირთა მხრიდან. დაინტერესებულ მხარეებს კი წარმოადგენდნენ მშობლები, საბავშვო ბაღის პერსონალი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული ერთეულების, საჯარო სკოლებისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები.

საინტერესო მსჯელობისა და მოსაზრებების მოსმენის შემდეგ ჩამოყალიბებულიქნა დაწესებულების მისის, ხედვისა და ღირებულების საბოლოო ვერსია. ა.(ა).ი.პ.-„მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი" საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით თითოეულ დაინტერესებულ მხარეს უზიარებს დაწესებულების მდგრადობისთვის საჭირო სამ მნიშვნელოვან ელემენტს.

ჩვენი მისიაა

ბავშვის ინდივიდუალური უნარების, შემოქმედებითი პოტენციალისა და ინკლუზიის გათვალისწინებით სკოლამდელი განათლების ეტაპზე საფუძველი ჩაუყაროს თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნების მქონე და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი ემოციურად და ფიზიკურად ჯანსაღი პიროვნების/ მოქალაქის ჩამოყალიბებების პროცესს, რომელიც მომავალში მარტივად შეძლებს სოციალიზაციას.

ჩვენი ხედვაა

თანამედროვე ტექნოლოგიების, ფორმებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით უახლოეს ხუთ წელში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შევქმნათ კოლექტივის-ბავშვი, აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი, მშობელი-ღია ურთიერთობის საუკეთესო სისტემა.

ღირებულება

*შიგაორგანიზაციული პრინციპების, მორალური და ადმინისტრაციული წესების დაცვა;

* მუდმივი ზრუნვა პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე;

* გუნდურობა;

*კონფლიქტების ეფექტური მართვა;

* ზრუნვა პერსონალის წახალისებაზე.

ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი. დირექტორი ირმა გაბისონია

გენადი ნანავას ხსოვნის საღამო



მიმდინარე წლის რვა მაისს მარტვილის კერძო სკოლა ,,სხივში" ჩატარდა უნიჭიერესი შემომქმედის,გულმხურვალე პატრიოტის,უდიდესი ინტელექტუალის, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ,კარგი ოჯახის მამის, კარგი მეგობრის გენადი (გენა)ნანავას ხსოვნისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.საღამოს ესწრებოდნენ გენადის ოჯახის წევრები, საზოგადოების წარმომადგენლები, მარტვილის მერიის გამგეობის წევრები,გენადის მეგობრები, საღამოს შორეული რუსეთიდან ჩაერთო გენადის მეგობარი და თანამებრძოლი,გენადის ლექსთა კრებულის გამომცემელი ზურაბ გალდავა.სკოლა ,,სხივის" მოსწავლეებმა ნიკა წულაიასა და ოთო დანელიას თანადგომითა და მონაწილეობით წარმოადგინეს გენადის ლექსებზე შექმნილი ლიტერატურული კომპოზიცია.დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგნენ და გენადის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე ისაუბრეს გენადის მეგობრებმა ელგუჯა ჯგერენაიამ, მურმან წოწორიამ ნუგზარ მონიავამ, ილია კუხალაშვილმა,მურად ჩარგაზიამ, ქალბატონმა ლია გულორდავამ, ეროვნული მოძრაობის ერთერთმა წარმომადგენელმა მარტვილში თენგიზ სურმავამ. გამოითქვა სურვილი,რომ გამოიცეს გენად ნანავას ლექსთა განახლებული, სრულყოფილი კრებული. დამსწრე საზოგადოებისა და ოჯახის წევრებისგან მადლობა დაიმსახურეს ამ ღონისძიების ინიციატორებმა და განმახორციელებლებმა ბატონმა დავით ჯიქიამ, ბატონმა ალბერტ ხუნწელიამ და სკოლა ,,სხივის" პედაგოგიურმა კოლექტივმა.

P.S. როგორც მკითხველი შეამჩნევდა,ეს არის სქემატური ანგარიში შემოქმედებითი საღამოსი,-თუმცა გენადის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, უპრიანია შეიქმნას უფრო სრულყოფილი ლიტერატურული წერილი.

ილია კუხალაშვილი

***

მე არ ვწერ ლექსებს... მე ფეთქვას გულის
ვამხელ ქაღალდზე ქართულ ანბანით,
დამსაჯეთ მუზის კვლავ სიუვარულით
და პოეზიის ზღვაში გამბანეთ.
რა მაქვს სათქმელი კრიალა ზეცის
და სისხლით მორწყულ მიწის ჯარისკაცს,
მაქვს ნოუიერი ძლიერი ფესვი,
ვდგავარ დიდგორთან, ვდგავარ კრწანისთან.
ვადიდებ ცოტნეს,შალვას ბიძინას,
ელიზბარს და ბერს, გმირს ჩვენს თეოდორეს,
ვისაც საფლავში დღესაც არ სძინავს,
ვინაც ხმალს უქნევს ყველა მედროვეს.
ვფიცულობ დავითს, თამარს,ერეკლეს,
შოთას, ილიას, ვაჟას, აკაკის,
ძმებს ოპიზარებს, არსაკიძის მკლავს,
ნუთუ არ გესმით სისხლის რაკრაკი.
მე არ ვწერ ლექსებს... მე ფეთქვას გულის
ვამხელ ქაღალდზე ქართულ ანბანით,
დამსაჯეთ მუზის კვლავ სიუვარულით
და პოეზიის ზღვაში გამბანეთ.

გენადი ნანავა

ანა ბახია

ფილოლოგი. ამჟამად მუშაობს სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურჩის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ბავშვობიდანვე ეწევა შემოქმედებით საქმიანობას, არის ლექსების კრებულის „სულს ჩაესახა რძისფერი დილა"ავტორი. დღეს შემოგთავაზებთ მის ახალ ლექსებს, ავტორი მთელი თავისი გულწრფლობით ეფერება თითოეულ სტრიქონს.

***

ჟღალი ფერის თმით გამოჩნდა გოგო,
ზღვის ტალღა ტანზე შემოხვეოდა,
ცრემლით დანამულ
ლამაზ თვალებზე
ვატყობდი, დარდი შემოსჩვეოდა...
ცას რომ ახედა, უფერულ ღაწვებს,
ჩრჩილივით,, სჭამდა"უგულო ფიქრი,
ზღვა კი, ცდილობდა ეკოცნა ვნებით
და სიყვარულში ჩაუდგა ჯიბრით,
,,იისფერ სიზმრებს" აჰყვა და გაქრა,
გოგონა არა-
გულის ქალღმერთი,
სამყარომ, ასჯერ,, შეცვალა ფირი",
მხოლოდ შემოგვრჩა ის...
ერთადერთი...

***

მე...
ტაძრის კართან დაგელოდები,
დაგელოდები...
იმედით სავსე,
შენ...
დაივანებ სულის ფარეშთან,
შორი-ახლოდან...
ვიქნებით ასე-
ივლი, „მობოჭავ" სასურველ წამებს,
გაიათკეცებ „ჩაკირულ" ღელვას,
რა ეშველება ამ სიჩუმეში,
შენ და ჩემ შორის გაჩენილ
„რევანშს"?!
... ვიყავი გუშინ და...
დღესაც მე ვარ,
ზოგისთვის ისე-უბრალოდ,
მზე ვარ...

***

როგორ აყვავებულა
ჩემს ეზოში ნუში,
ამიხდინე პირობა,
რომ მომეცი გუშინ,
უკვე დიდი ხანია-მზე შემოდის გულში
და, ხარების მადლია,
რომ „მაცხუნებს"სულში...
ცაზე სავსე მთვარეა,
,, შევერცხლილი" მთვარე,
მოთმინებით გვეწვევა,,
გაბრწყინდება"მალე,
ათასფერად სიზმრებით
გვენაზება ღამე,
გასახარი მოყევი, საიმედო რამე,
დამავიწყე ის ფინთი,
რაც ვიწვნიე გუშინ,
მომიტევე, ჯობია,
სევდის განცდით ნუ მსჯი,
„იასამნის სურნელი ამიყვავე სულში...

***

როგორ გარბიან წლები,
ქარს მიჰყვებიან თითქოს,
თუ მოვასწარი რამე,
მე კი ამაზე ვფიქრობ...
შემოდგომის დღეს ჰგვანან
დაფერებული ძღვენით,
თუკი ვყოფილვარ ოდეს,
ოდნავ ,,ბრძენი" ან ,,ქველი",
,,მთვარის უბეში"ვეძებ,
ჩამესმის ,,წელთა როკვა",
აგერ ვიღაცამ,,მსუყედ",
ჩვენს ბავშვობაზე მოყვა;
ნისლივით მოსჩანს ის რაც,
უმანკო ბავშვებს გვსურდა,
ცხოვრებამ რაც კი გასცა,
თუ დავუბრუნე,,ხურდა",
იქნებ,
მოვბოჭე გულში,
ჩემი სიკეთე ,თუნდაც...

***

ცამ,, ჩამოუშვა ფარდა ცრემლების",
წარსულს რომ ჭუჭყი
კვლავ ჩამოჰბანოს,
შენ რა გაშინებს,
რამ აგაღელვა,
ალბათ ავდარმა-პატარა ქალო,
იქნებ ოდესღაც
„ნაღრძობი გული"დღეს-
წვიმის წვეთებს აჰყვა სიმღერით,
გაიათკეცო იმედი უფრო,
ამისთვის,ნეტა,ახლა ვინ გდევნის.
წვიმის უხილავ,შეუცნობ „ჰანგებს
მხოლოდ მე ვხდები, ჩემსავით ცივა,
რაც იყო გუშინ ,,რომ გავიზარდე",
შევიგრძენ, დღეს ის
სულაც არ მტკივა...
და ამიტომაც „,ვენდობი" წვიმას....
26.05.2025

***

ისევ მენატრება ნაზი გაზაფხულის,
მარტის სიანცე და მარტის
,,თავხედობა",
ჩუმი ატირება, უცხოდ ცვლილებეი,
გულში გარდატეხა, თუმცა...
არ მეტყობა...
მე, მარტს არ ვენდობი
ისიც-
არ მენდობა...
16.03.2025

***

,,ჩაკბეჩილ ლოყას" იმშვენებს
მთვარე,
სიხარულისგან ვარსკვლავიც როკავს,
დღესავით თეთრი, მშვიდი აჩრდილი,
,,ცრემლით ინამებს",
სიყვარულში რომ,წილი აქვს...
ცოტა...
და ამას ისე ,,განიცდის გულში",
ცდილობს,გაანდოს,,უტიფარ ღამეს,
რასაც ვერასდროს ვერ გააბრწყინებს,
სწორედ,ამ ტკივილს
უამებს მთვარე...

ჩანაწერები მეგრული გვარის ისტორიისათვის

ერქვანია

ე რ ქ ვ ა ნ ი გუთნის სახელურია,ასე ჰქვია მას ქართულად და მეგრულადაც.

სწორედ ამ ერქვანზე ჰქონდა მუდამ ხელი ჩაჭიდებული იმ სოფლელ გლეხკაცს(გუთნისდედას), ვისაც მიწის ხვნით გაჰქონდა თავისი ცხოვრების მძიმე ჭაპანი.

აქ არ შეიძლება უნებურად არ გაგახსენდეთ ილიას ცნობილი სტრიქონები ლექსიდან "გუთნისდედა":

მაშ რა გაღონებს, გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველ ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს.

ეს ის დრო იყო, როცა სოფელში ტრაქტორი და სხვა რამ ტექნიკა საერთოდ არ არსებობდა და გლეხი კაცი მიწას ხარ- გუთნით ამუშავებდა. ვისაც გუთანი ჰქონდა და მასში შესაბმელად ხარებიც ჰყავდა, ის შეძლებულ გლეხად ითვლებოდა.

სწორედ ასეთი შეძლებული მიწის მუშა ანუ გუთნისდედა იყო, ალბათ,ერქვანიათა ის წინაპარი,ვისგანაც გადმოეცათ მათ შთამომავლებს გვარი

ე რ ქ ვ ა ნ ი ა.

ერქვანია მცირერიცხოვანი გვარია. სულთა რაოდენობის მიხედვით სამეგრელოში სულ 102 ერქვანია ცხოვრობს(აქედან ზუგდიდში-3,სენაკში-5,ფოთში-15,მარტვილში- 65,ხობში-14).

ერქვანიები სამეგრელოს გარდა ცხოვრობენ აგრეთვე თბილისში და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში.

მთლიანად საქართველოში მათი რაოდენობა 199 სულს შეადგენს.

ჯ ო ჯ უ ა

ჯოჯუა მრავალრიცხოვანი გვარია.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს გვარი მიღებულია საკუთარი სახელიდან ჯ ო ჯ ო.

მაგრამ არსებობს სხვა ვერსიაც.

აქამდე არსად დამიწერია, მაგრამ მახსოვს, ამ გვარის ერთმა საკმაოდ ხანდაზმულმა წარმომადგენელმა, რომელიც ყოფილი პედაგოგი იყო, მითხრა:

- გვარი ჯ ო ჯ უ ა მიღებულია მეგრული სიტყვიდან ჯ ო ჯ ი, მართალია ამ სიტყვას დღეს საუბარში არავინ ხმარობს, მაგრამ ის შეგიძლიათ მოიძიოთ ლექსიკონებში... მეგრული, მოგეხსენებათ უმწერლობო ენაა, ამიტომ თანდათანობით ბევრი სიტყვა დავიწყებას ეძლევაო- აქ მან მცირეოდენი პაუზა გააკეთა,ეტყობოდა გულწრფელად განიცდიდა იმას,რაც თქვა,და ისევ განაგრძო თხრობა:

- ჯ ო ჯ ი იგივეა, რაც ჯ ო ნ ჯ ი და ნასხლავს ნიშნავს. ჩვენ, კოლხები,მოგეხსენებათ,ვაზის კულტურის წარმომშობი ხალხი ვართ...როგორც გადმოცემა გვეუბნება,ის ჩვენი წინაპარი,ვისგანაც მივიღეთ ეს გვარი,მევენახე კაცი ყოფილა,ვისაც ვაზის მოვლა-მოყვანის თავისებური მეთოდებიც ჰქონია.მაგალითად,თუ სხვა მევენახეებს ვაზის ნასხლავი ტოტები ვენახიდან გაჰქონდათ და წვავდნენ,ის ჩვენი წინაპარი ამ აჭრილ ტოტებს (რასაც მეგრელები ჯ ო ჯ ს ვეძახდით), პატარ-პატარა ნაწილებად დაჭრიდა და ვენახში მწკრივებს შორის ყრიდა.ამბობდა,როცა დალპება,ვაზისთვის მეტად საჭირო საკვებად გადაიქცევაო... გადმოცემა გვეუბნება, რომ იმ კაცს სწორედ ამის გამო მეტსახელად ჯ ო ჯ ა შეარქვეს (ეს სახელი დადასტურებულია აკაკი ჭანტურიას წიგნშიც-" მეგრული სახელები და გვარები"), საიდანაც შემდეგ მივიღეთ გვარი ჯ ო ჯ უ ა (ჯოჯი-ჯოჯა- ჯოჯუა).

- მე ეს ჩემი წინაპრებისგან გამიგონია- ასე დაასრულა მან თავისი ლეგენდა.

ლეგენდა კი არა,უფრო სწორად, ხალხში შემონახული ნამდვილი ამბავი,რომელშიც არაფერია დაუჯერებელი.

ასე რომ, თუ ამ ვერსიას დავუჯერებთ,ჯოჯუების შორეული წინაპარი, ვისგანაც გაჩნდა მათი გვარი,მშრომელი მევენახე- მეღვინე კაცი ყოფილა.

ხოლო რაც შეეხება ამ გვარის ძირძველ სამკვიდროს, მიჩნეულია, რომ ჯოჯუების წარმოშობის ადგილი არის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი ტალერი.

ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს: დღეს მარტვილის მუნიციპალიტეტში ჯოჯუების 148 ოჯახი ცხოვრობს (აქედან ტალერში- 84, კურზუში- 20, დიდიჭყონში- 17, სალხინოში- 6,ქ. მარტვილში- 4,ბანძაში-5, ვედიდკარში- 3,თამაკონში- 3, ლეხაინდრაოში- 1, გაჭედილში- 1, სერგიეთში- 1, ნახუნაოში- 1, დოშაყეში- 1,კიწიაში- 1).

სულთა რაოდენობის მიხედვით საქართველოში სულ 3164 ჯოჯუაა (აქედან ზუგდიდში- 276, სენაკში-339, ფოთში-91, მარტვილში 443, ხობში- 40, წალენჯიხაში-32, ჩხოროწყუში 73, აბაშაში-108, სამეგრელოს გარდა თბილისში და სხვადასხვა რეგიონებში- 1762)

გ ე გ ი ა

გეგია ეპონიმური გვარია, რომელიც წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება.

გ ე გ ე წმინდა გიორგის მეგრული სახელია ისევე,როგორც ჯ ე გ ე და გ ე რ გ ე.

ჯ ე გ ე, გ ე რ გ ე და გ ე გ ე პოპულარული სახელები იყო ძველ სამეგრელოში.მშობლები შვილებს ამ სახელებს წმინდა გიორგის პატივსაცემად არქმევდნენ.აკაკი ჭანტურიას წიგნში-" მეგრული სახელები და გვარები" პირდაპირ დადასტურებულია ადამიანის საკუთარი სახელი გ ე გ ე.

სავარაუდოდ,ეს სახელი ერქვა გეგიების იმ წინაპარს, ვისგანაც შემდეგ მისმა შთამომავლებმა მიიღეს გვარი გ ე გ ი ა.

ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს: დღეს მარტვილის მუნიციპალიტეტში სულ 39 კომლი გეგია ცხოვრობს.

სულთა რაოდენობის მიხედვით საქართველოში სულ 562 გეგიაა, სამეგრელოში- 206 (აქედან ზუგდიდში- 9, სენაკში- 35,ფოთში- 15,მარტვილში- 103, ჩხოროწყუში- 2, აბაშაში-4).

ჩ ა გ უ ნ ა ვ ა

ჩ ა გ უ ადამიანის საკუთარი სახელია, რომელიც ადრე ფართოდ იყო გავრცელებული სამეგრელოში.

გახსენდებათ,ალბათ, ცნობილი ხალხური სიმღერა :

ჩაგუ მურსუ ამუსერი
სასინჯოთუ ერჩქინელი,
ვერაშ საქომონჯოთ მაფუ
გორილი დო მერჩქინელი.

ჩ ა გ უ ს კნინობით - მოფერებითი ფორმაა ჩ ა გ უ ნ ა, რასაც ეძახდნემ, ალბათ, ჩაგუნავების იმ წინაპარს, ვისგანაც წარმოიქმნა გვარი ჩ ა გ უ ნ ა ვ ა.

ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს: დღეს მარტვილის მუნიციპალიტეტში ჩაგუნავების 42 ოჯახი ცხოვრობს (ტალერი-3, დიდიჭყონი-34, თამაკონი- 2, ხუნწი-2, ინჩხური- 1).

სულთა რაოდენობის მიხედვით საქართველოში სულ 620 ჩაგუნავაა,სამეგრელოში 163(აქედან ზუგდიდში-3,სენაკში-8, ფოთში -13,მარტვილში- 124,ხობში- 12,წალენჯიხაში-1, ჩხოროწყუში-1, აბაშაში-1).

ფაუსტ ნადარაია

რედაქტორი
ფაუსტ ნადარაია

რედაქციის მისამართი
ქ. მარტვილი
თავისუფლების ქ. №10
ტელ: 591 25 69 10

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი,
დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია
„თავისუფალი პრესა"